



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2045
18/12/2018

ქალაქი ბათუმი

2045-05-4-201812181416



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად აჯილდოებს საუკეთესო სპორტსმენებსა და მწვრთნელებს მათ მიერ წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებებისა და შედეგების მიხედვით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოების მიზნით „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2018 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №79 განკარგულებით დამტკიცებული დანართი №2, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე-ე ქვეპუნქტისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის 2018 წლის 17 დეკემბრის №01-05/151 კორესპოდენციის საფუძველზე ვბრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დასაჯილდოებლად გამოიყოს 3750 (სამიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ.ნაკაშიძე) უზრუნველყოს გამოყოფილი მიზნობრივი თანხების დაფინანსება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს განათლებისა და კულტურის სამსახურს.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ჩარიცხოს შესაბამისი თანხა ხელვაჩაურის სასპორტო სკოლის სპორტსმენებისა და მწვრთნელების შესაბამის ანგარიშზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

